

**შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის
ფოლკლორის არქივი
მულტიმედია საველე ჩანაწერების შექმნის, დოკუმენტაციისა და
შენახვის ძირითადი პრინციპები**

1. მასალის ჩაწერა

- 1.1. მულტიმედია საველე ჩანაწერი წარმოადგენს ვიდეო ან აუდიო მასალას დიგიტალიზებული ფაილ(ებ)ის სახით.
- 1.2. მულტიმედია საველე მასალის შექმნის მომენტში ჩამწერმა აუცილებელია უზრუნველყოს შემდეგი სამი დოკუმენტის შედგენა:
 - 1.2.1. **დოკუმენტირების ფურცელი (ანკეტა)**, რომელიც ივსება წინასწარ მომზადებული მონაცემების მიხედვით. მასში სრულად უნდა იყოს ასახული მონაცემები მთქმელზე (*იხ. დანართი 1*).
 - 1.2.2. **თანხმობის წერილი** დგება წინასწარ შემუშავებული ფორმის მიხედვით, რომელიც სასურველია ექსპედიციის დროს თან იქონიოს ჩამწერმა და შეავსოს მთქმელთან მუშაობის პროცესში (*იხ. დანართი 2*).
 - 1.2.3. **ექსპედიციის (მივლიების) ანგარიში** დგება ჩემწერის მიერ. იგი შეიძლება იყოს ვრცელი ან მოკლე. მოცულობა და სტრუქტურა განისაზღვრება შემკრების შეხედულებისამებრ. ანგარიშს შეიძლება ერთვოდეს შემკრების დღიურიც.

2. მასალის დოკუმენტაცია

- 2.1. მულტიმედია მონაცემთა მასივის შენახვის ერთეულს წარმოადგენს საქალაქდემი ერთად აკინძული შემდეგი მასალების ერთობლიობა:
 - 2.1.1. განმარტებითი ბარათი,
 - 2.1.2. ექსპედიციის ანგარიში,
 - 2.1.3. CD/DVD-ზე ჩაწერილი თითოეული ფაილის აღწერილობა,
 - 2.1.4. მთქმელთა თანხმობის წერილი,
 - 2.1.5. ელექტრონული მატარებლები.
- 2.2. ტერმინთა განმარტება:
 - 2.2.1. **განმარტებითი ბარათი** დგება ფოლკლორის არქივის მეცნიერ-თანამშრომლის მიერ. მასში მიეთითება მასალის წარმომავლობა (სად, ვისგან, როდის არის შემოსული მასალა), რას ასახავს მასალა და სად არის იგი ჩაწერილი. ჰონორარი, თუ კი ასეთი არის მასში გადახდილი. განმარტებითი ბარათით განისაზღვრება შემოსულ მასალაზე შდგენილი პორტფოლიოს საარქივო შენახვის შიფრი.
 - 2.2.2. **საარქივო შენახვის შიფრი** წარმოადგენს ჩანაწერს შემდეგი მონაცემების მითითებით:
 - 2.2.2.1. **საარქივო მასივის განსაკუთრებულობა**, რაც აისახება ჩანაწერში:
ფა1 = ფოლკლორის არქივი მულტიმედია მონაცემთა მასივი;
 - 2.2.2.2. **ჩანაწერის რეგიონი**, რაც ემთხვევა არქივში გამოყენებულ კუთხეების აღმნიშვნელ პირობით ნიშანთა სისტემას (*იხ. დანართი 3*). მაგ., **კ5** = კახეთში ჩაწერილ მასალას მოთავსებულს მულტიმედია მონაცემთან მასივის მეხუთე საქალაქდემი;

- 2.2.2.3. ემ+რიგითი ნომერი = ელ. მატარებელის (CD/DVD) რიგით ნომერს; ელექტრო მატარებელი ამჟამინდელი ტექნოლოგიების კვალობაზე წარმოადგენს CD/DVD. CD/DVD-ზე დაიტანება ორიგინალიდან გადაწერილი მასალა ფაილების სახით. ეს შეიძლება იყოს აუდიო ან ვიდეო ფაილი. სასურველია ერთი კასეტა გადაწერილი იყოს ერთ ფაილად.
- 2.2.2.4. **მონაცემები ფაილის ფორმატის და საიდენტიფიკაციო ნომრის შესახებ.** ეს შეიძლება იყოს ჩანაწერი: აფ = აუდიო ფაილი + საიდენტიფიკაციო ნომერი, ვფ = ვიდეო ფაილი + საიდენტიფიკაციო ნომერი.
- 2.2.2.5. **დროითი კოდი** ფოტოსთან ან კადრთან ერთად აღნიშნავს მოცემული თემის დაწყების დროს ფაილში.
- 2.2.2.6. **ექსპედიციის ანგარიში** (იხ. 1.2.3)
- 2.2.2.7. **ფაილების აღწერილობა** წარმოადგენს Microsoft Office Word-ის ფაილს, რომელიც დგება წინასწარ შემუშავებული სქემის მიხედვით (იხ. დანართი 4).

3. მასალის შენახვა

- 3.1. მასალა ინახება ფოლკლორის არქივის მულტიმედია საველე ჩანაწერების მასივში. მასივის საერთო კოდია ფა1
- 3.2. მასივის შენახვის ერთეულს წარმოადგენს საქაღალდე, რომელთა თანმიმდევრობაც განისაზღვრება მასალის არქივში შემოსვლის რიგის შესაბამისად.

დოკუმენტების ფურცელი

ინტერვიუს ჩამწერი	
ინტერვიუს ჩაწერის თარიღ(ებ)ი	
ინტერვიუს ჩაწერის ადგილ(ებ)ი	
ინფორმაცია მთხრობელის შესახებ	
სახელი	
გვარი	
მთხრობელის დედის სრული სახელი	
მთხრობელის მამის სრული სახელი	
მოქალაქეობა/პირადობის მოწმობის #	
ეთნიურობა	
მთხრობელის დაბადების დღე/თვე/წელი	
მთხრობელის დაბადების ადგილი	
განათლება:დაწყებითი/საშუალო/ უმაღლესი	
პროფესია	
შრომითი საქმიანობის რაგვარობა: ოფიციალური სექტ./არაოფიციალური/პენსია	
ჯანმრთელობის მდგომარეობა	
საცხოვრებელი ადგილის შეცვლა	
ოჯახური მდგომარეობა	
მეუღლე	
მეორე ქორწინება	
შვილები/შვილიშვილები	
დამატებითი ინფორმაცია	
ინდივიდუალური ჩანაწერები/დოკუმენტები/ისტორიის თემაზე	
ფოტოდოკუმენტები	
გამოქვეყნებული მასალა	
სხვა პირის მონათხრობი ამავე ინტერვიუს/ისტორიის თემაზე	

თანხმობის წერილი

თანახმა ვარ, ჩემს მიერ (ამა და ამ პიროვნებისადმი - სახელი და გვარი) მიწოდებული ინფორმაცია და მასალა გამოქვეყნდეს ნაბეჭდი, ხმოვანი ან/და ვიზუალური სახით.

გვარი:

სახელი:

მისამართი:

ხელმოწერა:

თარიღი:

კუთხეების აღმნიშვნელი პირობითი ნიშნები

0 = შერეული	ჰ = საინგილო	პ = კლარჯეთი
ბ = აჭარა	ი = იმერეთი	ქ = ქართლი
ც = აფხაზეთი	ჯ = ჯავახეთი	რ = რაჭა
დ = სვანეთი	კ = კახეთი	თ = თუშეთი
ე = ლაზეთი	ლ = ლეჩხუმი	წ = გუდამაყარი
ფ = ფშავი	მ = მესხეთი	ხ = ხევსურეთი
გ = გურია	ნ = შავშეთი	ყ = ხევი
ს = სამეგრელო	ო = იმერხევი	ზ = მთიულეთი

ფაილების აღწერილობა

მეტამონაცემები:

დროითი კოდი კადრი	ინფორმატორი	დრო, ადგილი	თემა/შინაარსი
00:09 	ნიკოლოზ ხუცურაული, 87 წლის	08.04.09 ყვარლის რ-ნი სოფ. გრძელჭალა	დაბადება, კოლექტივიზაცია, ძველი დროის შეფასება, გადმოსახლება კახეთში, დაცოლშვილება, შვილიშვილის გორიდან ლტოლვილობა, თანამედროვე ცხოვრების ანალიზი
01:51	ნიკოლოზ ხუცურაული, 87 წლის	08.04.09 ყვარლის რ-ნი სოფ. გრძელჭალა	ბავშობაში ცხვრის მწყემსვა, ბავშობის ონავრობები, პაპის ტკბილად გახსენება.
03:19	ნიკოლოზ ხუცურაული, 87 წლის	08.04.09 ყვარლის რ-ნი სოფ. გრძელჭალა	გრძელჭალაში დაბინავება, კარგი ცხოვრებით ცხოვრება, ფერმის ყარაულად მუშაობა, ფულის არ ქონა, ფშავში გაჭირვებული ცხოვრების გამო გადმოსახლება კახეთში, გაუვალი ტყის ჭალის გაჭრა გრძელჭალაში და შუქის გაყვანა, ოჯახის 1953 წელში ჩამოსახლება, ძმის უცნაური სიკვდილი და ა. შ.

ფაილების აღწერილობა, როგორც ვხედავთ, შედგება შემდეგი ველებისაგან:

1. ფაილის სახელი და დროითი კოდი ფოტოსთან ან კადრთან ერთად,
2. მონაცემები ინფორმატორზე (სახელი, გვარი, ასაკი). ივსება ანკეტის მიხედვით,
3. მასალის ჩაწერის დრო და ადგილი,
4. ჩანაწერის თემა/შინაარსი.

ფაილის აღწერილობას წინ უძღვის მეტამონაცემები ფაილის შესახებ, რაც გულისხმობს:

1. „ემ“-ს, რომელზეც ჩაწერილია ფაილი და ფაილის სახელი;
2. მის წარმომავლობას. ამ შემთხვევაში შეიძლება განხილული იქნეს რამდენიმე ვარიანტი:
 - ✓ ფაილი წარმოადგენს ვიდეო კასეტაზე DV/VHS ჩაწერილი მასალის ასლს ელექტრო ფაილის სახით, რომლის ორიგინალი შეიძლება ინახებოდეს არქივში ან მის ჩამწერთან. მეტა მონაცემებში ამის შესახებ აუცილებლად უნდა არსებობდეს მითითება.
 - ✓ ელექტრო ფაილი შეიძლება იყოს ორი სახის: 1. გადაწერილი ისე, როგორც ორიგინალშია და 2. დამონტაჟებული. ამის შესახებ ინფორმაციაც ასევე უნდა იყოს მითითებული მეტა მონაცემებში.

1.1. ახალი ტაიმკოდი ეთითება ახალ თემაზე ან შინაარსობრივად ახალ გამოსახულებაზე გადასვლის შემთხვევაში. ორიგინალი და გადაწერილი ფაილის ტაიმკოდი შეიძლება ერთმანეთს არ დაემთხვეს.